განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების და დამატების შესახებ"

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ
ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზია საქართველოში ბოლო პერიოდში გახშირებული მოქალაქეთა რელიგიური გრძნობების, არსებული რელიგიების და სასულიერო პირების შეურაცხყოფა.

რამდენიმე წელია „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების" საბაბით პერიოდულად ხდება ფარული თუ პირდაპირი შეურაცხყოფა, როგორც საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ასევე ქვეყანაში არსებული სხვადასხვა ტრადიციული რელიგიის მიმართ. გაურკვეველი ჯგუფები და პიროვნებები მიზანმიმართულად ახორციელებენ რელიგიური სიწმინდეების, რელიგიური ნაგებობების, რელიგიური სიმბოლოების შეურაცხყოფას. ინტერნეტ სივრცეში (სოციალურ ქსელში) შექმნილია რამოდენიმე ათეული გვერდი, რომელთა პირდაპირი დანიშნულებაა ღვთის გმობა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, მისი წინამძღოლის და სასულიერო იერარქების შეურაცხყოფაა. სახეზეა პიროვნების ღირსებისა და პატივის დამცირება, მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების საჯარო შეურაცხყოფა. 2012 წლის 9 სექტემბერს გაურკველმა პირებმა ქაშუეთის ეკლესიის გალავანზე დახატეს წმინდა ნინოს კარიკატურა წარწერით: "თავისუფლება PUSSY RIOT".

სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას მოქალაქეთა რელიგიური გრძნობები. რათა თავიდან ავიცილოთ შესაძლო დაპირისპირება რელიგიურ ნიადაგზე. მითუმეტეს, რომ ევროპული ქვეყნების კანონმდებლობა იგივე სახის დანაშაულზე უფრო მკაცრად რეაგირებს და სისხლის სამართლის კოდექსით არეგულირებს:

<u>გერმანიაში</u> სისხლის სამართლის 166-ე მუხლით ისჯება მკრეხელობა. რადგან, ასოცირდება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის მცდელობასთან.

<u>იტალიაში</u> სისხლის სამართლის კოდექსის 724-ე მუხლი „რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისათვის" ითვალისწინებს ადმინსტრაციულ სასჯელს, ჯარიმას 51-დან 309- ევრომდე.

<u>ესპანეთის</u> სისხლის სამართლის კოდექსის 525-ე მუხლის მიხედვით პირს რომელიც შეურაცხყოფს რომელიმე რელიგიური აღმსარებლობის გრძნობებს საჯაროდ, სიტყვიერად ან წერილობით ისჯება ჯარიმით.

<u>ავსტრიის</u> სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლით იკრძალება:
წმინდა პირებისა და რელიგიური სიმბოლოების შეურაცხყოფა. სასჯელი: ჯარიმა ან 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

<u>დანიის</u> სიხლის სამართლის კოდექსისი 140-ე მუხლით იკრძალება "რელიგიური გრძნობების შეურახყოფა". პირი რომელიც საჯაროდ დასცინის რელიგიურ მოძღვრებსისჯება თავისფლების აღკვეთით, ვადით მინიმუმ 4 თვე.

ჰოლანდიის სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლის მიხედვით არაუმეტეს სამი თვის ვადით თავისუფლების აღკვეთით (ან ჯარიმით) ისჯება პირი რომელიც საჯაროდ, ზეპირად ან წერილობით შეურაცხყოფს რელიგიურ გრძნობებს.
ისლანდიის სისსხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის მიხედვით რელიგიური ღვთისმსახურის, ან ღვთისმსახურების საჯარო შეურაცხყოფა ისჯება 3 თვიანი პატიმრობით, ან ფულადი ჯარიმით.
ფინეთის სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლი ითვალისწინებს სხვადასხვა სასჯელს "რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისთვის".
1969 წელს ჰარო კოსკინენს სურათისათვის : „ჯვარზე გაკრული ღორი" ფულადი ჯარიმა დაეკისრა.
2008 წლის 30 მაისს ტამპერეს რაიონულმა სასამართლომ, ინტერნეტში განთავსებული მუსულმანთა სიწმინდეების შეურაცხმყოფელი მასალების გამოქვეყნების გამო, მოქალაქე სეპო ლეხტოს, 2 წლითა და 4 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.
საბერძნეთში რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა ისჯება სისიხლის სამართლის 198-ე, 199-ე, 201-ე მუხლებით. 198 მუხლის მიხედვით: განზრახ საჯაროდ ღვთის გმობისათვის ითვალისწინებს 3 წლით თავისუფლების აღკვეთას. საჯაროდ რელიგიური გრძნობების უპატივცემლობა ისჯება 3 თვემდე თავისუფლების აღკვეთით. 199-ე მუხლი ითვალისწინებს 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთას საბერძნეთის მართლმადიდებლური ეკლესიის და საბერძნეთში არსებული რელიგიების მისამართით საჯაროდ გამოთქმული შეურაცხყოფისათვის.
თურქეთის სისიხლის სამართლის კოდექსის 216 -ე მუხლით იკრძალება საჯაროდ მოსახლეობის რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა-დამცირება. 2013 წლის აპრილში პიანისტ ფაზილ სეის, საჯაროდ მუსლმანების აუგად მოხსენიების გამო, 18 თვიანი პირობითი მიესაჯა.
ისრაელის სისხლის სამართლის კოდექსის 170-ე და 173 -ე მუხლებით ისჯება ღვთის გმობა. 170-ე მუხლი თვალისწინებს 3 წლამდე პატიმრობას ღვითსმასახურებისა და წმინდა ადგილების (ობიექტების) განზრახ შეურაცხყოფისათვის. 173-ე მუხლი ითვალისწინებს ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას პუბლიკაციებზე რომელიც უხეშად შეურაცხყოფს რელიგიას.

ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი

კანონპროექტის მიღების მიზანია სახელმწიფოს მხრიდან ქვეყანაში არსებული რელიგიების და მათი მიმდევრების შეურაცხყოფისგან დაცვა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის მიხედვით, რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა ხდება დასჯადი ქმედება და სამართალდამრღვევს ეკისრება ფულადი ჯარიმა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება
ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღებას არ ექნება გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

კანონპროექტით დგინდება საფასური იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტით დგინდება მოსალოდნელი ფინანსური საფასური შედეგი იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან
გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტს არ ექნება გავლენა საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.

დ) კანონპროექტის პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი

ზვიად ტომარაძე (დემოგრაფიული განვითარების ფონდის დირექტორი)

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

იოსებ ჯაჭვლიანი